პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კვირა, 17 აგვისტო 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მეომარი

№ 575 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათმდე

განცხადება.

ორშაბათს, 18 ავვისტოს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის), დანიშნულია ტფილისის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგი:

1) საბჭოს დებულების განხილვა.
2) საინფორმაციო მოხსენება საბჭოს განყოფილებათა მუშაობის შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

იმ საბჭოს წევრებს, რომელთაც არ მიუღიათ საბჭოს ჟურნალი ,,მოამბე“ № 2/6 სექციებს და აღმასკომის სხდომაზე— მიიღებენ ასეთს აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილებაში ოთახი № 66.

პრეზიდიუმი.

სამხედრო სკოლისაკენ.

უფროსთა შემადგენლობის საკითხი ჩვენთვის ერთ მთავარ საკითხთაგანს შეადგენს.

ასეთ ფასს და წონას ამ საკითხს აძლევს ჯერ ის, რომ დღევანდელი უფროსთა შემადგენლობა წითელი შკოლიდან არ არის.

მაშასადამე არ აქვს მას ის ელემენტები მომზადებისა, რომელიც მუშურ-გლეხური თვალსაზრისით აუცილებელი და საჭიროა ყველა წითელ მეთაურისათვის.

ჩვენი წითელი მეთაური უნდა იყოს არა მარტო სამხედრო საქმის მასწავლებელი, არამედ მასწავლებელი და მაგალითის მიმცემი პოლიტიკურ დარგშიაც.

დღევანდელ უფროსთა შემადგენლობასთან კი ჩვენ თითონ გვიხდება პოლიტიკური სკოლის გავლა.

მეორე გარემოება უფროსთა შემადგენლობის საკითხის სერიოზულობისა გამოიხატება იმაში, რომ ჯარი ეს ცოცხალი ორგანიზაციაა. დრო და ვითარების განმავლობაში იგი იწრთვნება, ბერდება.

რაც კარგი სპეციალი ცოდნის არ იყოს უფროსი, ჩვენ ვერ გავაჩერებთ მას ჯარის რიგებში სიკვდილის უკანასკნელ ჟამამდე.

სამხედრო ნაწილებს გახალისება ესაჭიროება თითქმის ყოველ წლიურად.

ეს კი მოითხოვს ახალ კადრს უფროსობისას.

ამ კადრს გვაძლევს ჩვენ სამხედრო სკოლები.

ამ ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი უფროსთა შემადგენლობის სკოლა ახალ გამოშვებას მოახდენს.

ჩვენს წითელ ჯარს შეემატება ახალი ტალღა წითელი მეთაურების; მეთაურების, რომლებიც აღზრდილნი არიან მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ყაიდაზე.

რასაკვირველია, ისინი ვერ ჩაითვლებიან ყოველთვის მცოდნეთ და უაღრესად მომზადებულ პირათ.

ეს მათთვისაც ცხადია.

სკოლა აძლევს მათ თეორიულ და პრაკტიკულ საქმიანობის დაწყებას.

ჯარის რიგებში ყოფნით მათ ეს დაწყება უნდა გამოიყენონ და დრო და ჟამის გასვლის შემდეგ შეიქნან სათანადოთ მომზადებულნი.

ახლად გამოსაშვებ პირთა დრო მოახლოებულია.

ეს ავალებს ჩვენს სამხედრო ნაწილებს და პოლიტიკურ განყოფილებას აქედანვე შეუდგნენ თადარიგს.

საჭიროა ეხლავ აყვანილ იქნეს აღრიცხვაზე სამხედრო სკოლაში წარსაგზავნი ამხანაგები.

სამხედრო სკოლას უნდა მივსცეთ ჩვენ ჩვენი რიგებიდან, რაც შეიძლება კარგი ამხანაგები.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შესძლებს სკოლა უკან მოცემის დროს კარგი მეთაური მოგვეცეს.

ხანდისხან შემჩნეულია ხოლმე, რომ კარგ ამხანაგს ნაწილი ვერ ელევნება. ვერ ელევნება გასაგებ მიზეზების გამო. სურს მომზადებულ პირს არ შეელიოს.

ეს შეცდომაა ჩვენის აზრით.

მართალია, ნაწილს ესაჭიროება კარგი მომუშავეები, მაგრამ მისთვის (ნაწილისათვის) ამაზე უფრო საჭირო და სასარგებლო იქნება რამდენიმე ხნით გაჭირვება და შემდეგ კი წითელი მომზადებული მეთაურის მიღება.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რაც შეიძლება მეტი ყურადღება სამხედრო სკოლაში წავლინებას.

სკოლა მოგვცემს ჩვენ მომზადებულ წითელ მეთაურს, რომელიც წყლისა და ჰაერისავით აუცილებელია ნაწილისათვის.

ინგლის-საბჭოთა შეთანხმების გარშემო.

მემარჯვენე პრესის პროვოკაცია.

დილის გაზეთებს შორის მხოლოდ „მორნინგ პოსტი“ უძღვნის მოწინავე წერილს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხს.

გაზეთი კვლავ იმეორებს თავის ბრალდებებს პროპაგანდის შესახებ და აცხადებს: „საბჭოთა დელეგაციის ქცევა თავისთავად წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებათა დარღვევას.

საბჭოთა წარმომადგენლები, ნაცვლად იმისა, რომ აწარმოონ მხოლოდ დიპლომატიური საქმეები, მოქმედებენ, როგორც რუსეთის პოლიტიკური პარტიის აგენტები, რომელთაც კავშირი აქვთ ამავე პარტიის ინგლისის განყოფილებებთან“

გაზეთი იცავს აგრეთვე საფრანგეთის კრედიტორების მიზნებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობას ხელის მოწერამდის უნდა ეცნობებია ამის შესახებ მის მეგობრულ ერების კრედიტორებისათვისო.

ჩვენ და ისინი.

კამპანია სსრკ-ს ცნობისათვის.

ხერსტის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლის-საბჭოთა შეთანხმება უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ამერიკის დიპლომატიის დამარცხება.

პრესა აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატებმა და საფრანგეთმა შეიძლება ზარალი იგემონ ლონდონის კონფერენციაზე, მაგრამ ამას გარდა შეერთებული შტატები წააგებს საქმეს წყნარ ოკეანეზეც, როგორც კი იაპონია და სსრკ ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას. ამის გამო შეერთებული შტატები, იუზის მიუწვდომელი პოლიტიკის წყალობით, იძულებული იქნებიან დაიხიონ წყნარ ოკეანის საკითხში.

ჩინეთი და იაპონია გამოიყენებენ თავის მდგომარეობის ყოველ უპირატესობას და შეერთებული შტატები დაიჭერენ მესამე ადგილს.

თუ რომ ამერიკის მთავრობა არ შეუდგება ახალი პოლიტიკის წარმოებას სსრკ-ს მიმართ, ამერიკა მოექცევა უკანასკნელ ალაგზე საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარების დროს.

შვეციის კომპარტიის მოწოდება.

შვეციის კომპარტიამ გამოაქვეყნა საარჩევნო მანიფესტი, რომელშიაც წამოყენებულია ერთიანი ფრონტის ლოზუნგი. მანიფესტი მოუწოდებს მუშებს და გლეხებს შეერთდნენ ბრძოლაში მუშურ-გლეხური წესწყობილების შემოსაღებად.

მოკავშირეთა კონფერენცია.

კონფერენცია მოლოდინშია.

მოკავშირეთა კონფერენციის მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულად, ვინაიდან დარჩენილია მხოლოდ რამოდენიმე მეორე ხარისხოვანი ტეხნიკური საკითხები.

15 სექტემბერს მოხდა კაბინეტის სხდომა ებერტის თავმჯდომარეობით და პარტიულ ლიდერების მონაწილეობით.

მოკავშირეები მხარს უჭერენ ერიოს.

„მატენი“-ს ცნობით იტალიისა და იაპონიის დელეგატები, აგრეთვე ამერიკის ელჩი კელლოგი მხარს უჭერენ ფრანგების წინადადებას ევაკუაციის ერთი წლით გაგრძელების შესახებ.

მაკდონალდი და კელლოგი ურჩევენ შტრეზემანს მიიღოს საფრანგეთის წინადადება.

ესეც თანასწორ უფლებიანობა!

ბერლინის პრესა იმედ გაცრუებულია ლონდონის კონფერენციით და ფრანკოფილური გაზეთიც კი, „ბერლინელ ტაგებლატი“ აღნიშნავს, რომ ულტიმატუმის ფორმა, რომლითაც ერიომ მოითხოვა თავისი წინადადების გაყვანა, სრულიად მიუღებელია.

გაზეთი ამბობს, რომ ზედმეტია გერმანიის დელეგაციის ყოფნა ლონდონში, თუ კი საარსებო ხასიათის საკითხები არ შეიძლება გადაიჭრას ულტიმატუმის გარეშე.

გერმანიის პასუხი.

15 აგვისტოს მარქსმა და შტრეზემანმა გადასცეს ბრიტანეთის პრემიერს დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გერმანიის პასუხს საფრანგეთის წინადადებაზე რურის ევაკუაციის გაგრძელების შესახებ ერთი წლით.

შინაარსი ჯერ არ არის ცნობილი.

15-სავე ღამით გერმანიის პასუხი უნდა გაეცნოთ საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენლებს.

ერიოს გამარჯვება, გერმანიის შევიწროება.

გავასის სააგენტოს ცნობით 14 აგვისტოს ერიომ გაუკეთა საინფორმაციო მოხსენება მოკავშირეთა დელეგაციის თავმჯდომარეებს.

მოკავშირეთა ყველა რწმუნებულებმა მიიღეს, რათა მოხდენილ იქნას რურის ევაკუაცია ერთი წლის განმავლობაში.

გერმანიის დელეგატებს გამოუძახეს ტელეფონით.

მათ გააცნეს მოკავშირეების პოზიცია რურის საკითხში. გერმანიის წარმომადგენლები მეტად აღაშფოთა მაკდონალდისა და კელლოგის ასეთმა საქციელმა; უკანასკნელნი მოითხოვენ საფრანგეთისა და ბელგიის ჯარების დატოვებას 12 თვის განმავლობაში დოუესის გეგმის გასატარებლად.

გერმანიის დელეგატებმა მოითხოვეს სამი საათის ვადა პასუხის შესამუშავებლად.

გერმანია იძულებული იქნება დასთანხმდეს.

საფრანგეთის საზოგადოებრივი წრეების აზრით გერმანიის დელეგაცია დასთანხმდება რურის ევაკუაციაზე ერთი წლის განმავლობაში მაგრამ მოითხოვენ საოკუპაციო ჯარების შემცირებას ამ პერიოდის განმავლობაში.

ბერლინის წრეებში.

გერმანიის პოლიტიკური წრეები აღნიშნავენ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც წილად ხვდა გერმანიის მთავრობას რურის ევაკუაციის საკითხში.

მოლაპარაკება ბერლინთან.

კანცლერ მარქსმა განაცხადა ფინანსთა მინისტრის ლიუტერის ბერლინში გამგზავრების შესახებ პრეზიდენტ ებერტთან და გერმანიის პოლიტიკურ პარტიების ლიდერებთან მოსალაპარაკებლად.

მაკდონალდმა დროს ეკონომიისათვის ურჩია ბერლინიდან მოლაპარაკება ტელეგრაფის საშუალებით. დელეგაცია დასთანხმდა ამ წინადადებაზე. ებერტის პასუხს მოელოდენ გუშინ.

გერმანიის პასუხი.

ძალმომრეობა.

15 აგვისტოს საღამოს საფრანგეთისა და ბელგიის დელეგაციებს გადაეცა გერმანიის პასუხი საფრანგეთის წინადადებაზე.

პასუხის მიღების შემდეგ მოხდა საფრანგეთის და ბელგიის დელეგაციების თათბირი.

საფრანგეთის დელეგაციის საპასუხოდ გერმანიის მთავრობა აშკარად აღიარებს, რომ ის ხელს აწერს საფრანგეთის წინადადებას ევაკუაციის შესახებ, ვინაიდან ის აიძულეს ამაზე. დაწვრილებითი შინაარსი პასუხისა ჯერ არ არის გამოცხადებული.

მოლაპარაკება განახლდება.

კონფერენციის ოფიციალურ წრეებში გამეფებულია აზრი, რომ გერმანიის პასუხი შეძლებას აძლევს საფრანგეთს და გერმანიის დელეგაციებს განაახლონ მოლაპარაკება.

„მატენის“ ცნობით, ერიომ აღუთქვა გერმანიის დელეგაციას, რომ ის ჩქარა გაანთავისუფლებს ე. წ. „მეორე სანქციათა ზონას“, რომელშიდაც შედის კარლსრუე, ოფენბურგი და მანგეიმის, ვეზელის და ემერიხის მიდამოები.

ერიოს განცხადება.

ერიომ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მას ჯერ კიდევ არაფერი შეუძლია სთქვას დაწვრილებით რურის ევაკუაციის შესახებ.

ერიოს სიტყვით რურის ევაკუაციის ვადა (ერთი წელი) იანგარიშება, ხელის მოწერის დღიდან.

სამთო-მადნო მუშები გამოდიან ს.-დემოკრატების მზრუნველობასაგან.

მიუხედავად ს. დ. ბელადების წინააღმდეგობისა, ბელგიის 20.000 მუშამ გამოაცხადა გაფიცვები. გაფიცვების მიზეზია მეპატრონეების მიერ ჯამაგირის მოკლების განზრახვა. ბელგიის მუშები მოუწოდებენ მუშებს გამოვიდენ ერთიან ფრონტით დამქირავებელთა წინააღმდეგ და სცდილობენ საერთო გაფიცვების მოხდენას ბელგიაში.

საფრანგეთი.

კომპარტიის მოწოდება.

საფრანგეთის კომპარტიამ მიმართა მშრომელთ მოწოდებით ხელი მოაწერონ 500.000 ფან. სესხზე, რათა კომპარტიამ შესძლოს თავისი ვალების გაბათილება აგვისტოს ბოლომდის.

მეზღვაურთა გაფიცვები.

გავრის მეზღვაურთა გაფიცვები 16 დღე გრძელდება. გაფიცვები ძლიერდება აგრეთვე ნანტში.

გავრის და ნანტის მეზღვაურები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას, 8 საათის სამუშაო დღის გატარებას და ზედმეტ საათებისთვის ხელფასის მიცემას.

ლუშერის წასვლის შესახებ.

ოფიციალურად უარყოფენ ცნობას ომის შესახებ თითქოს ერიომ მიიღო თავისი გადაწყვეტილება ლუშერის ძალდატანებით.

აღნიშნულია, რომ ლუშერი მივიდა ლონდონში არა ოფიციალურად, როგორც გერმანიის მრეწველები.

მხოლოდ ავიწყდებათ დაუმატონ რომ ლუშერი ლიდერია დეპუტატთა პალატის მნიშვნელოვანი ჯგუფის, რომლის ხმები აუცილებელია მთავრობისათვის, რათა ხმის უმრავლესობა მიიღოს.

საბჭოთა ფედერაციაში

საბჭოთა დელეგაციის დაბრუნება ლონდონიდან.

გამოემგზავრენ ლონდონიდან საბჭოთა კავშირის დელეგატები რაკოვსკი და შეიმანი.

სათესლე ხორბლის გაუმჯობესება.

სამიწად-მოქმედო განყოფილება შეუთანხმდა ცალკე სათესლე ხორბლეულის მომყვან მეურნეობებს, რომლებმაც უნდა მოაშენონ საუკეთესო სათესლე ხორბალი 9.000 დესიატინის საყოფი. ეს თესლი მიეცემა განსკუთრებით გლეხობას.

ბრძოლა გვალვის წინააღმდეგ.

პარტიის საოლქო კომიტეტმა და აღმასკომმა გამოაქვეყნა წერილი ყველა პარტ-ორგანიზაციების, პარტიის წევრთა, გლეხთა და მთიულთა მიმართ გვალვისა და მოუსავლიანობის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

წერილში ნათქვამია, რომ მოსავლიან ადგილებში რჩება ზედმეტი მოსავალი 50 მილ. ფუთამდი, რაიც იმედს იძლევა, რომ დაკმაყოფილებულ იქნება მოუსავლიან ადგილების მოთხოვნილება.

წერილში გარკვევით არის განსაზღვრული სათესლე ხორბლის განაწილების ამოცანები, შეღავათები წითელ არმიელთა და უღარიბეს გლეხთა მიმართ და სხვა.

წერილში წამოყენებულია ლოზუნგი, რომ მომავალი წელი უნდა იყოს საერთო ბრძოლის წელი შიმშილობისა და გვალვის წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

საქართველო

ნაღმის აფეთქება.

ბორჯომიდან მეხუთე ვერსზე, სადაც გაჰყავთ ახალი გზა, აფეთქდა კლდის მოსანგრევად გამზადილი ნაღმის ვაზნა.

მზეზე გახურებული ნაღმი აფეთქდა ნაადრევად. დასჭრა ორი მუშა.

გზის უფროს მოხელეს მოსწყვიტა მარჯვენა ხელი და შეუნგრია მკერდი. მეორე მუშა მსუბუქად დაიჭირა.

სამშობლოში გაგზავნა.

ბათუმი. ამ დღეებში შრომის სახალხო კომისარიატი ამგზავრებს სამშობლოში დემობილიზაციით თავისუფალ წითელ არმიელებს, რომლებიც ამ ჟამად ირიცხებიან შრომის ბირჟაში.

6 თუ 8 საათის სამუშაო დღე·

ქუთაისი. საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის ყრილობაზე 212 ხმა მიემხრო 6 საათის, ხოლო 35—8 საათის სამუშაო დღეს კანტორისა და კანცელარიის მომუშავეთათვის.

რადიო ყოველ მხრიდან.

მატეოტის პიჯაკი.

რომის ახლოს ჭაში აღმოაჩინეს მატეოტის პიჯაკი, რომელიც მრავალ ალაგას არის დაჭრილი მახვილით.

„როტე ფანეს“ დახურვა.

ბერლინის ხელის-უფლებათა განკარგულებით დაიხურა გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე“.

ავღანისტანის ემირის წინააღმდეგ·

ავღანისტანში იფეთქა ახალმა აჯანყებამ ემირის წინააღმდეგ. აჯანყებულებს დახმარებას უწევენ ბრიტანეთის აგენტები.

მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

ბრიტანეთის აგენტების მიზანი გამოსცვალონ დღევანდელი ემირ და მის ადგილას დააყენონ აბდულ ქერიმი.

ჯარების გაგზავნა ეგვიპტეში.

მალტის სამხედრო ძალებმა მიიღეს განკარგულება რათა საჩქარო გადააგზავნონ ინგლისის ჯარები ათასეულები ეგვიპტეში.

ბულგარეთი.

სოფიიდან მიღებულ ცნობით ბულგარეთის ხელის უფლებმა აღმოაჩინეს რამოდენიმე ქალაქში ამუნიციის საწყობები, რომლებიც ეკუთვნიან აჯანყებულებს.

რევოლიუციონური მოძრაობა პორტუ გალიაში.

ლისაბონში პოლიციამ აღმოაჩინა ბომბებისა და იარაღების დიდი საწყობი.

დააპატიმრეს პორტუგალიის პარლამენტის რადიკალური პარტიის წევრები, რომლებიც სცდილობდენ გამოეწვიათ რევოლიუციონური მოძრაობა მთავრობის წინააღმდეგ.

„გაზეთი იმფორმასიონეს-“ი იუწყება, რომ, ბრაბანცაში (პორტუგალია) უკვე რამოდენიმე დღე დადიოდა ხმები მოსალოდნელ რევოლიუციონურ გამოსვლების შესახებ.

პორტუგალიის მთავრობამ დააპატიმრა პოლიციის ყოფილი უფროსი კონცეირო და რადიკალური პარტიის ლიდერები, რომლებიც შემჩნეული არიან რევოლიუციონურ მოძრავობაში.

საქონლის ჭირი და ხუზარა.

ჩვენ შინაურ ცხოველებს ორი უსაშინელესი მტერი ყავს—ჭირი და ხუზურა.

ორივე გადამდები სენია, მაგრამ ერთმანეთისაგან ძალიან განირჩევიან, თუმცა ჩვენი ხალხი, არა თუ მარტო განუვითარებელი გლეხობა, არამედ შეგნებული ნაწილიც-კი საზოგადოებისა, ხშირათ ერთმანეთში ურევენ მათ.

ჩვენი ხალხი ყველა გადამდებ სენს ჭირს უძახის; ასე მაგალითად, საქონლის ჭირი, ქათმის ჭირი, ცხვრის ჭირი, ღორის ჭირი და სხვა.

ეს შეცდომაა.

გადამდები სენი სხვადასხვა არის, სხვადასხვა მიზეზი იწვევს თვითეულს, თვითვეული მათგანი განსაკუთრებითი ნიშანდობლივი თვისებებით ხასიათდება და განსაკუთრებულ საბრძოლველ ზომებსაც მოითხოვენ,

რა განსხვავებაა მაგალითად საქონლის ჭირსა და ხუზარას შორის.

1. საქონლის ჭირი ემართება მარტო მსხვილფეხა რქიან საქონელს (ძროხას, ხარს, კამეჩს), იშვიათათ ცხვარს: ხუზარა კი, ანუ როგორც სხვანაირათ უძახიან, ციმბირის წყლული, ემართება თითქმის ყველა ჯურის ცხოველს და მათ შორის ადამიანსაც.

2) საქონლის ჭირის გამომწვევი პაწაწინა არსება (ბაქტერია) ჯერ არაა აღმოჩენილი და შესწავლილი, ხუზარისა-კი კარგა ხანია არის აღმოჩენილი და ყოველმხრივ შესწავლილი.

3) საქონლის ჭირი ძალიან ადვილათ და სწრაფათ გადადის ერთი საქონლიდან მეორეზე, საკმარისია ახლო მიკარება სალი საქონლისა ავათმყოფთან, რომ პირველიც გახდეს ავათ.

ხუზარა-კი გადაედება საქონელს, ცხოველს, გინდ ადამიანს მხოლოთ მაშინ, როცა მის სხეულში შეიჭრება ამა თუ იმ გზით თვით ხუზარის ჩხირის მსგავსი პაწაწინა არსება (ბაქტერია) ან კვერცხში ბაქტერიის შეჭრა ხდება ორი გზით: ან საჭმელს შეაყოლებს ან და გაკაწრულ გაჭრილ კანიდან შევა ის.

4. საქონლის ჭირის ნიშნებია: სწრაფი გადადება ერთიდან მეორეზე, მაღალი სიცხე, ტუჩებსა და ღრძილების კანზე მუწუკების გამოყრა, ფაღარათი, მცირე ხანში ძალზე გახდომა. ხუზარას ნიშნებია: საქონლის თითო-ოროლას გახდომა ავათ მთელ ჯოგში, სიცხის ძლიერ მაღლა აწევა, ავადმყოფობის მოკლე ხანს გაგრძელება (სულ ბევრი სამ დღეს გაგრძელდეს) ხშირათ ყელთან, მუცელზე ან მკერდზე უჩნდება სიმსივნე. ღორს ხუზარა უჩნდება ყელში და ახრჩობს. ადამიანს უჩნდება კისერზე მუწუკის სახით, მაჯაზე, თითზე (ხალხი უძახის ბედნიერს), აძლევს დიდ სიცხეს.

5) ჭირიან საქონლის ხორცის ჭამა შეიძლება, ადამიანს არ ავნებს. თუ ის სახელმწიფო სავალდებულო დადგენილებით აკრძალულია, მარტო იმიტომ, რომ ხორცის ხმარება ჭირიან საქონლის ხელს უწყობს ჭირის გავრცელებას. ხუზარიან საქონლის ხორცის ჭამა—კი ძალიან საშიშია ადამიანის სიცოცხლისთვის. ხუზარიანმა ხორცმა შეიძლება ადვილათ გადასდოს ხუზარა ადამიანს და მოჰკლას.

6) ბრძოლა საქონლის ჭირის წინააღმდეგ სწარმოებს აცრის ფარგლებით (კარანტინით), დეზინფექციით (გაუვნებლობით); ამავე ზომებით სწარმოებს ბრძოლა, ხაზურის წინააღმდეგ.

მაგრამ საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ასაცრელი მასალა—შრატი და ხუზარის საწინააღმდეგო ასაცრელი მასალა ვაქცინები და შრატი, მზადდება სულ სხვადასხვანაირად და სხვადასხვა ალაგას.

ჩვენში ჭირის საწინააღმდეგო შრატი მზადდება ტაბახმელის სადგურზე, ხუზარის საწინააღმდეგო ვაქცინები და შრატი—ვეტბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში (კობის ქუჩა, სახლი № 9). ტფილისში.

ასეთი განსხვავებაა ამ ორ უსაშინელეს გადამდებ სენთა შორის.

ნუ დაგვავიწყდება ნურასოდეს, რომ საქონლის ჭირი და ხუზარა—ციმბირის წყლული) ცხოველთა საშიში და ძლიერ მაზარალებელი გადამდები სენებია; ამიტომ იქცევს დიდ ყურადღებას.

ორივე სენის წინააღმდეგ ასაცრელი მასალა მზადდება ჩვენში და ხალხს ეძლევა უფასოთ, უფასოთვე სწარმოებს აცრა.

გლეხებო, თქვენი ვალია, მხოლოთ დროზე აცნობოთ ხელისუფლებას სენის გაჩენა და არ დახარბდეთ ხორცის ჭამას, ტყავს. სენის გაჩენის დროს მოსპეთ საფუძვლიანათ ლეშები ხორციან ტყავიან-მატყლიანათ.

ისარგებლეთ უფასო საქონლის ექიმის რჩევა-დარიგებით.

(„მიწ. მ.“)

მი—ლი.

ჩვენი წითელი კარი

სამაგალითო ნაბიჯი.

(წითელ არმიელის წერილი)

ოქტომბრის დიადმა პროლეტარულმა რევოლიუციამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ყველა იმ ბნელ ძალებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ახალი ქვეყნის აგებას.

ჩვენ მივისწრაფვით უკეთეს მომავლისაკენ—ჩვენი მიზანია საერთო ბედნიერების დამყარება.

ცხადია, ასეთ ნაბიჯებს ვერ შეურიგდება ყველა ისინი, ვინც კვლავ განაგრძობენ თავიანთ „საგმირო“ საქმეებს. ასეთია ყველა კონტრრევოლიუციონერები, ასეთია ყველა მევახშეები და მათ რიცხვს ეკუთვნის ჩვენი მიკიტნები თავიანთ სამიკიტნოებით.

მიკიტანი თავისი სამიკიტნოთ მშრომელი ხალხის გასაღატაკებლად არის მოვლენილი. მათი ცდა, მათი ენერგია მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ იქეთკენ, რომ მუშას, გლეხს უკანასკნელი გროში გამოსტაცონ ხელიდან.

ამას აუცილებლად სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ, თუ გვინდა უკეთესი მომავალი.

ამ დღეებში ჩვენს გაზეთებში მეტად საინტერესო ცნობას წავაწყდი: **ხონის გლეხკომს განუზრახავს წითელ სასადილოების გახსნა, რომ ამით სასტიკი და დაუზოგველი ბრძოლა აწარმოონ სამიკიტნოების წინააღმდეგ.**

ეს ნაბიჯი მეტად მიზან შეწონილი და მეტად დროული ნაბიჯია.

მას შეუძლია თავიდან აგვაცდინოს სამიკიტნოების მიერ გამოწვეული უბედურებები.

სწორედ სამიკიტნოებია, რომ მშრომელ ხალხს ტყავს აძრობს, უკანასკნელ კაპეიკს აცლის ჯიბიდან.

მე ვიცი, თუ ბაზარში სიმინდის საყიდლათ წასული გლეხები როგორ გამხდარან მადა გახსნილ მიკიტნების მსხვერპლი. სამიკიტნოები დიდი უბედურებაა ჩვენი სოფლის ცხოვრებაში. მათ წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, თუ გვინდა ჩვენი გლეხი გამოვიდეს თავისი უბედური მდგომარეობიდან. ამ მხრივ ხონის გლეხკომის ნაბიჯი დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ, წითელ არმიელები, მივესალმებით ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობას და ვფიცავთ რომ სოფელში დაბრუნებისთანავე ენერგიულ დახმარებას გაუწევთ სამიკიტნოების ამ საძაგელი სოფლის წურბელას აღმოფხვრაში.

წით. არმიელი: **გან-კონი.**

ჩვენი წრეები.

ცალკე საკავშირო ასეულში ადგილობრივი კომუჯრედის ხელმძღვანელობით დაარსებულ იქნა წითელ არმიელების მომზადების მიზნით სხვა და სხვა წრეები. ჯერჯერობით არსებობს და უკვე მუშაობაც სწარმოებს შემდეგ წრეებში:

პოლიტიკური, ლიტერატურული, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის, ანტირელიგიური და მარქსისტულ წრეებში. ხელმძღვანელები დიდ ენერგიულობას იჩენენ ყველა წრეებში. სულ ცოტაოდენი ხნის განმავლობაში პოლიტიკურ წრეში სამჯერ მოხდა მეცადინეობა, რამაც კარგად დაგვანახა წითელ არმიელების უნარი და მეცადინეობისადმი ინტერესი.

დამაკმაყოფილებელია მუშაობა ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის წრეში. წრემ მიზნად დაისახა კავშირის ისტორიის შესწავლა.

დანარჩენი წრეებიც კვირაში ერთხელ აწარმოებენ მუშაობას.

სამხკომი და პოლიტხელი ყოველგვარ დახმარებას უწევენ მათ, რათა საფუძვლიანი და ნაყოფიერი შეიქნეს წრეების მუშაობა.

ხერმონია.

საჰაერო ფლოტის უჯრედი.

ამ უჯრედს დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ მან მაინც შესძლო თავის დანიშნულებისადმი მიღწევა.

უჯრედი სათანადოთ გაძლიერებული და განმტკიცებულია.

9 აგვისტოს მოწვეული იქნა ლეგიონის ბიურო-კოლექტივის კრება.

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დღის წესრიგში იდგა საკითხი საჰაერო ფლოტის უჯრედის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს ბიურო-კოლექტივის მიერ აღნიშნულ უჯრედზე მიმაგრებული ამხ. შონია, რომელიც ვრცლად შეეხო უჯრედში წარმოებულ მუშაობას და გაგვაცნო შემდეგი:

უჯრედს ყოლია სულ 85 წევრი. საწევრო გადასახადებიდან და ნიშნების გაყიდვით უჯრედს შეუგროვებია 166 მან.

ამ ჟამად წრეში ითვლება 65 კაცი, რადგან სხვები გადაგზავნილი ყოფილან სხვა და სხვა ნაწილებში.

დამაკმაყოფილებელია უჯრედის ორგანიზაციული მხარეც.

წევრებში სისტემატიურად კეთდება სხვა და სხვა ხასიათის მოხსენებები, შუქდება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიურ ფრონტზე და სხ.

უჯრედს განზრახვა ქონია აგრეთვე მოიწვიოს საგანგებო მომხსენებელი, რომელიც განმარტავს ფლოტის აუცილებლობის საკითხს.

წითელ არმიელები მეტის მეტად დაინტერესებული არიან ამ ორგანიზაციით და ყველას სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრებად.

საზოგადოებისაკენ წითელ არმიელების ასეთი მასიური ლტოლვა აუცილებლად დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს და ალბად სულ მალე ვიხილავთ ძლიერ და მტკიცე საბჭოთა საჰაერო ფლოტს.

სანი იმნაიშვილი.

ციხეში მყოფი პატიმარ წითელ არმიელები.

15 აგვისტოს, ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლეკვეიშვილმა, კოლეგიის წევრმა ამხ. ხიხაძემ და პროკურორის თანაშემწემ ამხ. ლორთქიფანიძემ ინახულეს გამასწორებელ სახლში № 2, მოთავსებული ტუსაღები წითელ არმიელები.

ადგილზე დათვალიერებამ და დაკითხვამ გამოარკვია, რომ ყოფ. დეზერტირები უკვე გამოსწორების გზას დასდგომიან და შეგნებულად გმობენ წინად მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს.

ყველა წითელ არმიელებმა ერთხმად შემოგვჩივლეს, რომ მათ არ მოსდით გაზ. „წითელი არმიელი“, რის გამო მოწყვეტილი არიან ლაშქრის ცხოვრებას. თავისუფალ დროს პატიმრები თვით განვითარებას ანდომებენ.

არის ერთი დაუშვებელი გარემოება, რომელსაც აუცილებლად, რაც შეიძლება, სასწრაფოდ ბოლო უნდა მოეღოს.

პატიმარი წითელ მოლაშქრეები განცალკევებულ საკნებში არ არიან მოთავსებული, რაც ეჭვი არ არის ცუდ გავლენას მოახდენს მათზე.

სამხედრო ტრიბუნალი და პროკურატურა მიიღებენ გადამწყვეტ ზომებს, რომ ეს ნაკლი გამოსწორდეს და პატიმარი წითელ არმიელები მოთავსებული იქნენ ცალკე საკნებში. რომ ტუსაღები არ იქნეს მოწყვეტილი ფიზიკურ შრომას, ციხის ადმინისტრაცია აგზავნის მათ სამუშაოზე, რისთვისაც ღებულობენ სათანადო გასამრჯელოს.

იმედია, პოლიტიკური განყოფილება მიიღებს ზომებს და გამოუწერს ციხეში მყოფ პატიმარ მოლაშქრეებს რამოდენიმე ცალ გაზ. „წითელ არმიელს“.

დ. ხიხაძე.

პარტიული ცხოვრება.

ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

9 აგვისტოს, ბანაკის კლუბში შესდგა ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის დახურული კრება, რომელსაც დაესწრენ ყველა ნაწილის კომპარტიის წევრები, კანდიდატები და ახალგაზრდა კომკავშირელები. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება პარტიის ისტორიაზე, პარტიაში წევრების მიღების შესახებ, კომკავშირის, მარქსისტული, ანტი რელიგიური და სხვა წრეების დაარსება ნაწილში. პარტიის ისტორიას კრებას აცნობს ამხ. სურგულაძე. მან დაიწყო სულ თავიდან—1899 წ. არა ლეგალურ მუშაობიდან და აღნიშნა ყველა-პარტიის მიერ განვლილი ეტაპები. ვრცლად შეჩერდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ატეხილ ფრაქციულ ბრძოლის მიზეზებზე, გაგვაცნო ამ პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის მაშინდელი თვალსაზრისი და მრავალი სხვა. მოხსენება ფრიად საინტერესო შეიქნა და გაგრძელება გადაიდო შემდეგი კრებისათვის, რადგან მხოლოდ ერთი მოხსენებით შეუძლებელი იყო თემას ამოწურვა.

კრება გადავიდა მეორე საკითხზე და განიხილა რა, უვადო შვებულებაში მიმავალ არმიელების პარტიის კანდიდატების განცხადება, პარტიაში მიღების შესახებ, დაადგინა: ეს გარემოება პრეზიდიუმის საშუალებით ეცნობოს პოლიტიკურ განყოფილებას.

შემდეგ პრეზიდიუმს შამოაქვს წინადადება კომკავშირელთა წრის დაარსების შესახებ, რაც ერთხმად იქნა მიღებული. წრის ხელმძღვანელობა კრებამ მიანდო წ. არმიელს ამხ. მონიავას.

კრებამ დააკმაყოფილა აგრეთვე განცხადებები სხვა ზემო აღნიშნულ წრეების დაარსების შესახებ და აირჩია ხელმძღვანელები.

ადგილობრივ სოფლის ორგანიზაციაზე მიმაგრებულ ამხანაგებმა კრების დადგენილებით, თავისი იქ მუშაობის ანგარიშები უნდა წარმოადგინონ ბანაკის მოხსნის წინა დღეებში.

ს—ნია.

ქართულ არტილერიაში.

ჩვენს ქართულ არტილერიაში, რომელიც ამჟამად ბანაკათ იმყოფება, პარტიული მუშაობა შესაფერ დონეზეა დაყენებული.

ერთ ერთი საკითხი, რომელიც ამ წერილის მიზანია გაარკვიოს არის სხვა ნაწილების პარტ-ორგანიზაციებთან კავშირი, რომელიც პრაქტიკაში ტარდება ბანაკის პერიოდში და რომელსაც შესაფერისი ნაყოფი მოაქვს ორგანიზაციულ მუშაობის საკითხში.

ბანაკში გამოსვლის შემდეგ არჩეულ იქმნა ქართულ არტილერიის მაშტაბით ბიურო-კოლექტივი, რომელიც ხელმძღვანელობს პარტ-ორგანიზაციულ მუშაობას.

ბიურო-კოლექტივს უშვალო კავშირი აქვს რუსულ პირველ დივიზიონის პარტ-ორგანიზაციის ბიურო-კოლექტივთან. შემოღებულია მათშორის წარმომადგენლობითი სისტემა და სხვა.

მათივე დადგენილებით თვეში ერთხელ ხდება ნაწილებში არსებული უჯრედების მდივნების თათბირი და პარტ-ორგანიზაციების გაერთიანებული კრება.

ამ მიმართულებით ამა წლის 9 აგვისტოს შესდგა ხსენებულ ნაწილებში არსებულ პარტ-ორგანიზაციების გაერთიანებული კრება. კრებამ მიიღო სერიოზული ხასიათი.

დღის წესრიგში შედიოდა შემდეგი საკითხები:

1. ზემო ხსენებულ ნაწილებში არსებულ პარტ-ორგანიზაციების კავშირი.
2. მე-3-მე კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-5-ე კონგრესი, ნაციონალური საკითხი და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის გარშემო რუსულად ილაპარაკა ამხ. კირსოვმა, რომელმაც გაარკვია გაერთიანებული კრების მნიშვნელობა და მისი მიზანი.

ამავე საკითხზე სიტყვით გამოვიდა ამხ. ცაგარეიშვილი (ქართულ ენაზე), რომელიც მიესალმა გაერთიანებულ კრებას და მოუწოდა მტკიცე ენერგიულ კავშირისაკენ.

შემოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიდაც გაერთიანებულმა კრებამ მოუწოდა ბიურო-კოლექტივებს, ურთიერთ მტკიცე კავშირისაკენ.

მეორე საკითხის გარშემო მოხსენებით რუსულ ენაზე გამოვიდა იგივე ამხ. კირსოვი. მან მკაფიოდ გააშუქა კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება ნაციონალურ-კოლონიალურ საკითხებისადმი და მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის მე-5 კონგრესის ხაზი ხსენებულ საკითხებში.

ხსენებული საკითხი კრებას ქართულ ენაზე გააცნო ამხ. ცაგარეიშვილმა.

შეკითხვების შემდეგ კრება გადავიდა მიმდინარე საკითხებზე. წაკითხულ იქნა ცნობა ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ, რის გამო გაერთიანებული კრება უსურვებს ჩვენს დელეგაციას კიდევ მეტ გამარჯვებას მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.

პარტკორი: **ზ. კოპლატაძე.**

ცოტა რამ ყოფა-ცხოვრების საკითხზე*).

ხშირად არის, რომ ერთსა და იმავე კომუჯრედში მთელი წლობით მუშაობენ ამხანაგები, მაგრამ ერთი მეორის ოჯახურ გარემოებას არ იცნობენ. რამდენადაც მისაღებია მეორისადმი ძმური და მეგობრული განწყობილება ამაზე ზედმეტიც არის ლაპარაკი. ჩვენ უნდა ვეცადოთ ერთი მეორესთან სამსახურს გარეშეც ვხვდებოდეთ, გავეცნოთ სათითაოდ ამხანაგების ოჯახურ ვითარებას. არა ლეგალობის დროს, წინათ, ამხანაგები ვიკრიბებოდით ნამეტნავად ხშირად ერთ—მეორესთან. ეს იყო მთავარი, რაც ღრმად გვაკავშირებდა ერთიმეორესთან და საზიაროდ ხდიდა ერთი მეორის ჭირ-ვარამს. დღეს გვაქვს მთელი შესაძლებლობა, სადაც გვინდა იქ შევიკრიბნეთ.

ეხლა რას ვამჩნევთ?

იმას, რაზედაც სულ თავში ვსთქვი, ერთი მეორეს ვშორდებით ხშირად. მხოლოდ პარასკევობით ვხვდებით ერთი მეორეს სულ ორი სამი საათით და კვლავ ასე. დღეს უფრო მეტად საჭიროა ცემენტისებური შედუღება კომუნისტებისა არა მარტო საზოგადო ასპარეზზე, არამედ ოჯახშიც.

ეს გაამხნევებს ბევრს ამხანაგს, მის ოჯახში შეიტანს კომუნისტურ ყოფის საღ დისციპლინას და თავიდან ააშორებს მრავალ ამხანაგს ხშირად უმიზეზო ოჯახურ უსიამოვნებებს, რაც დაბოლოს თავდება ოჯახის დაშლით.

კომუნისტებს შორის ბევრი გადაეჩვია ოჯახობაზე ფიქრს. იგი მთლად ჩაფლულია საზოგადო საქმეში, აქაც ერთგვარი საფრთხეა თვალწინ.

სრულ ჰასაკში მყოფი კომუნისტი უნდა დაქორწინდეს, თუ მას საპატიო მიზეზები არ აქვს (ავადმყოფობა). როდის შეჩვევა ასეთი კომუნისტი ოჯახობაზე ფიქრს და გაბედავს შეირთოს მეგობარი?

---

*) სადისკუსიო წესით.

მაშინ, როცა მას დაიახლოვებს ოჯახიანი კომუნისტი და თვალსაჩინოდ დაანახვებს, რომ, მიუხედავად მრავალ მატერიალური გაჭირვებისა და დროს უქონლობისა, უკანასკნელს შეუძლია ოჯახის მოწყობა. რა გზით შევსძლოთ დაახლოვება?

ჩემის აზრით კომუჯრედის სხდომები უნდა მოეწყოს რიგ რიგობით ამხანაგების ბინებზე. ეს იქნება საუკეთესო სკოლა კომუნისტურ ცხოვრებისათვის. ასეთ კრებებზე, დამერწმუნეთ, წამოიჭრება მრავალი ყოფა-ცხოვრების საკითხები, რომლებსაც ეხლა თითქმის ყველგან გვერდს უხვევენ. მასპინძელი ჩვეულებისამებრ შეეცდება „დაუხვდეს" პურმარილით „სტუმრებს." ეს უნდა თავიდანვე დავგმოთ და ყველა ამხანაგი შევაჩვიოთ ცხოვრების სადათ ყურებას.

როგორც მაგალითს მოვიყვან შემდეგს: **15** აგვისტოს დივიზიის ლაზარეთის კომუჯრედის სხდომა იყო დანიშნული. ამ კომუჯრედში ითვლება სულ ოთხი პარტამხანაგი, ერთი შეუძლოთ აღმოჩნდა, დანარჩენებმა გადავსწყვიტეთ წავსულიყავით მის სანახავად. მივედით. ამხანაგი, თუმცა ადგომა არ შეეძლო, მაინც გამხიარულდა ჩვენი მისვლით. არც ვაციეთ, არც ვაცხელეთ, გავხსენით კრებაა ავადმყოფი წამოწოლილი თავმჯდომარეობდა.

კრებაზე მრავალი საჭირბოროტო საკითხები გაირჩა, მუშაობა იყო მეტად ნაყოფიერი.

კრებამ „ოფიციალური" მხარე რომ დაამთავრა, მდივანმა აკრიფა მრავალ ფურცლიანი ოქმი სხდომისა; რის შემდეგ გაიმართა „შინაური" ბაასი. სასიამოვნო იყო ოჯახში მუშაობა. „კანცელიარშინის" გავლენას ადგილი არ ქონდა. ერთმანეთს არ ვერიდებოდით. ამ კრებაზე გამოითქვა აზრი. რომ შემდეგი მორიგი სხდომა გაიმართოს მეორე ამხანაგის სახლში. ასეთი მუშაობა ბევრს სიხალისეს შეიტანს პარტაღზრდაში და, თავისთავად ცხადია, უფრო განამტკიცებს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის რიგებს.

ალ. მ—შვილი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ძველთა ძველი დროის ადამიანის სახის გამორკვევა.

1894 წ. ქ. ლეიპციგის (გერმანია) სასაფლაოზე, სადაც გადმოცემით დასაფლავებული უნდა ყოფილიყო გერმანელი კომპოზიტორი ბახი იპოვეს თავის ქალა. რადგანაც დანამდვილებით შეუძლებელი შეიქნა იმის გამორკვევა, რომ გათხრილ ადგილზე იყო მაინცა და მაინც დასაფლავებული ცნობილი კომპოზიტორი, ამიტომ ხსენებული თავის ქალა გადაჭრით ვერ მიაკუთვნეს ბახს.

როგორ უნდა გამოერკვიათ, რა საშუალებისათვის უნდა მიემართად, რომ ნათელი მოჰფენოდა ამ საკითხის გადაჭრა? ეს თავს იდვა გერმანელ ცნობილ ანატომმა გისმა.

მან შემდეგ საშუალებას მიმართა: განსაკუთრებული ნემსით ის მოევლინა ანატომიურ თეატრს და ბახის ხნის (65) ადამიანების გვამების სახეებს დაუწყო სინჯვა. ეს ცდა შემდეგ ნაირად მიმდინარეობდა. გისიმ მკვდრების სახეებს სჩხვლეტდა და სხვა და სხვა ადგილზე და ამნაირად ზომავდა სახეზე ხორცის სისქეს.

შედეგად გისმა მიიღო ცრხილი, რომელიც აღნიშნავდა 65 წლის ადამიანის სახის სხვა და სხვა ადგილებზე ხორცის სისქეს.

შემდეგ გისმა ბახის გიბსისაგან დამზადებულ თავის ქალაზე გააკეთა გიბსისავე პირამიდები, რომლებიც აღნიშნავდენ სხვა და სხვა სიმაღლეებს ე. ი. წინად გაზომილ ხორცის სისქეს პირის სახის სხვა და სხვა ადგილას.

ასეთნარად დამზადებული ქალა გისმა გადასცა ცნობილ მოქანდაკეს, რომელსაც აღნიშნული თავის ქალა უნდა დაეფარა სანთლით ისე, რომ არსად არ გამოჩენილიყო მასზე აღნიშნული პირამდების წვეროები.

როდესაც მოქანდაკემ დაასრულა ეს მეტად საინტერესო მუშაობა და შეადარეს კომპოზიტორ ბახის სურათს—მიიღეს ნამდვილათ სანთლისაგან დამზადებული ბახის თავი.

ასეთივე ისტორია დატრიალდა ცნობილ გერმანელ პოეტის შილერის თავის ქალის გარშემო.

ჯერ კიდევ ცოცხალი იყო შილერის მეგობარი გიოტე, როდესაც მას მიჰგვარეს შილერის თავის ქალა, მაგრამ მან ვერ გაბედა გარკვეული პასუხის მიცემა. ამ საქმეს ისევ გისმა მოჰკიდა ხელი და თავისი ზემოხსენებული მეთოდის საშვალებით აღადგინა შილერის თავი, რომელიც ძლიერ ჰგავდა მის სურათებს.

ასეთივე მეთოდი იქნა მოხმარებული დიდი მხატვარი რაფაელის სახის აღდგენისათვის.

ეხლა უკვე გასაგებია ჩვენთვის, თუ როგორი საშვალებით არკვევენ მეცნიერები, თუ რომელ დროს ეკუთვნის სხვა და სხვა გათხრების დროს აღმოჩენელი ადამიანის ძვლები.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს მეცნიერებაში ისტორიულ ხანამდე არსებული ადამიანის თავის ქალას და საერთოდ ჩონჩხის აღმოჩენა. მათი საშვალებით ისინი არკვევდენ თუ როგორი მოყვანილობას ეკუთვნის და შემდეგ ვინ ყოფილა, როგორი არსებიდან განვითარდა ადამიანთა მოდგმა. ასეთი მნიშვნელოვანი ნაშთები თანამედროვე მეცნიერებას ჯერ-ჯერობით სრულად არ მოეპოება. მთელ მსოფლიოში ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია 20—30 ასეთი ისტორიულ ხანამდე არსებულ ძველთა ძველი თავის ქალა.

რას ლაპარაკობენ ისინი ჩვენი წინაპრების შესახებ?

ამაზე შემდეგ.

მოსავალი ამიერ-კავკასიაში.

(ეს ცნობები 1 მარიამობისთვემდეა შეკრებილი)

ამიერ-კავკასიაში მოსავლის გამოსაკვლევათ მუშაობს მცოდნე პირების (საექსპორტო) კომისია.

კომისიამ მთელი მოსავალი დაჰყო ხუთ ხარისხათ:

1) **პირველი ხარისხი** . . . . კარგი მოსავალი (აღნიშნულია ციფრით . . . . . . 5).
2) **მეორე ხარისხი** . . . . . საშუალოზე მეტი . . . 4.
3) **მესამე ხარისხი** . . . . . საშუალო მოსავ . . . 3.
4) **მეოთხე ხარისხი.** . . . . საშუალოზე დაბალი . . 2.
5) **მეხუთე ხარისხი** . . . . ცუდი მოსავალი . . . . 1.

ხარისხის ჩამოწერის მაგივრათ ყოველთვის ხმარობენ ციფრებს მოსავლის ღირსება-უვარგისობის აღსანიშნავათ, ისე როგორც ზევით არის ნაჩვენები.

ეხლა დაუკვირდეთ იმას, თუ როგორი იყო მოსავალი ჩვენ სამ მეზობელ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

	15 ივლ.	1 აგვ.	რა განსხვავებაა
აზერბეიჯანში	2,5	2,6	მოიმატა 0,1
სომხეთში	2,4	2,6	მოიმატა 0,2
საქართველოში	2,6	2,5	მოიკლო 0,1
საერთოთ და საშუალოთ	2,5	2,6	მოიმატა 0,1

(აქ ერთი განმარტება არის საჭირო. ზემოთ მოყვანილია ასეთი ციფრები, მაგ. **2,5** ან და 0,1 დ. ს. მძიმეს მარცხნივ დაწერილი ციფრი უდრის მთელს, მარჯვნივ კი მეათედ ნაწილს. მაგალითად **2,5** ნიშნავს ორი მთელი და ხუთი მეათედი, 0,1 აქ მთელი სულ არ არის, არის მხოლოთ 1 მეათედი და სხვა).

ამ რიგათ ამიერ-კავკასიის პურეულის მოსავალი უდრის თითქმის 3, ესე იგი, როგორც ზევით არის განმარტებული, საშუალო მოსავალს.

ეხლა ვნახოთ რომელი პურეული როგორ მოსავალს იძლევა ცალცალკე თვითეულ რესპუბლიკაში.

	ხორბალი		ქერი		სიმინდი.
	შემოდგ.	გაზაფხ.	შემოდ	გაზაფ.	
აზერბეიჯანი	2,6	2,5	3	2,3	—
სომხეთი	2,7	2,5	2,3	2,3	—
საქართველო.	1,7	1,7	1,4	1,9	2,9
საერთო და საშუალო	2,5	2,2	2,9	2,2	2,9

საზოგადოთ შემოდგომის ნათესი და სიმინდი სჯობნის გაზაფხულის ნათესებს.

ასეთია პურეულის მოსავალი.

როგორია ბამბის მოსავალი.

აზერბეიჯანში საუცხოვო მოსავალი გვექნება ბამბის. თუ საქმე ასე წავიდა და ნათესს წყალი არ მოაკლდა, ბამბა ჩინებულ მოსავალს მოგვცემს მთელ აზერბეიჯანში.

არც სომხეთშია გლახა მოსავალი, აქაური მოსავალი აზარბეიჯანისას ჩამოუვარდება, მაგრამ საშუალოზე მეტი თუ არის, თორემ ნაკლები არა.

როგორია **თამბაქოს** მოსავალი:

აზერბეიჯანში . . . . მეორე ხარისხის . . . . . 4. (საშ. მეტ).
სომხეთში. . . . . . . მესამე ხარისხიხ . . . . . 3. (საშუალო)
საქართველოში . . . . მესამე ხარისხის . . . . . 3. (საშუალო).

მოსავალი ვენახების:

აზერბეიჯანში . . . . მეორე ხარისხის . . . . . 4. (საშ. მეტ(.
სომხეთში . . . . . . მესამე ხარისხის . . . . . 3. (საშუალო).
საქართველოში . . . . მეორე ხარისხის . . . . . 4. (საშ. მეტ).

ჩაი საშუალო მოსავლისაა.

ბრინჯი აზერბეიჯანში საშუალოზე მეტია, სომხეთში კი **საშუალო** მოსავლის.

ახალი ამბები.

— **დახმარება ჯარს.** ქართ. ჯარის მეთაურთა სკოლის სასარგებლოდ საქ. სახ. კომისართა საბჭომ გადასცა ათასი მან.

— **ბაზრის ფასების მოწესრიგება.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიის მიერ წინადადება მიეცა მილიციას მიიღოს გადამჭრელი ზომები ბაზრის ფასების აწევის წინააღმდეგ.

— **ჯარიმებიდან შემოსული თანხა.** ივლისის განმავლობაში სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაჯარიმებისაგან შემოვიდა **7.256** მან.

— **სკოლების შენობების განთავისუფლება.** ქალ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა გადმოასახლოს სკოლების შენობებიდან ყველა მოქალაქენი სექტემბრისათვის.

— **ჩაის სააქციონერო საზოგადოება.** საქ. ეკონ. საბჭომ საჭიროდ სცნო კულტურის გასავითარებლად დაარსებულ იქნეს ჩაის სააქციონერო საზოგადოება.

— **საგლეხო სესხის მიმდინარეობა.** ა კ. შინა ვაჭრობის კომისარიატის ცნობით 1 აგვისტომდე საქართველოში განაღდებულ იქნა **60.000** მან. საგლეხო სესხის ბილეთები, სომხეთში კი **10.000.**

— **საგნებზე ფასების გაიაფება.** ა. კ. შინა ვაჭრობის კომისარიატი იმუშავებს გეგმას პირველი მოთხოვნილების საგნების გაიაფების შესახებ.

— **ტფილისის განტვირთვა.** შინ. საქ. კომისარიატთან არსებული ტფ. განმტვირთავი კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

— **ავტომობილებით მოძრაობა გურიაში.** უახლოეს ხანში დაიწყება ავტომობილებით მიმოსვლა ოზურგეთ-ჩოხატაურს შორის.

— **ტანსავარჯიშო მოედანი გორში.** სამაზრო აღმასკომის განკარგულებით ტანსავარჯიშო მოედანი მოწყობილ იქნება საავადმყოფოსთან მდებარე სახნავ მამულში.

— **გორის სახ. სახლის დასი.** გორის სამ. აღმასკომმა სთხოვა განათლების კომისარიატს გაგზავნოს თავის ხარჯზე გორის სახ. სახლის მუდმივი დასისათვის ერთი რეჟისორი და სამი მსახიობი.

— **საქართველოს ქალაქები.** სრ. საქ. ცენტრ. აღმას. კომიტეტის მიერ დამტკიცებულ იქნა ქალაქებათ შემდეგი დასახელებული ადგილები: ტფილისი, ქუთაისი, ბათომი, ფოთი, თელავი, ახალქალაქი, ახალციხე, გორი, ხაშური, ბორჯომი, სიღნაღი, ოზურგეთი, სენაკი, ჭიათურა, სოხუმი, ხონი, დუშეთი, ზუგდიდი, ცხინვალი, სამტრედია, ზესტაფონი, ლიუქსემბურგი, შულავერი და ონი.

— **მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობისათვის.** ამ დღეებში დამზღვევი კასა გზავნის ტყიბულში და ჭიათურაში განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც იქ მოახდენს მუშების შემოწმებას ჯანმრთელობის მხრივ.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. ე. ც—ახ. რედაქცია გთხოვთ გარკვევით გვაცნობოთ, რომელ პასუხისმგებელ სამხკორზე იწერებით, რომ ის სახელს უტეხს ჩვენს გაზეთს.

ამხ. მე—ვარს თქვენი წერილი „ვინ დაამყარა ასეთი წესი" გადაეცა დივიზიის კომისარს.

ამხ. ვა—პაპას თქვენი წერილიც დივიზიის სამხედრო კომისარს გადაეგზავნება.

ამხ. კოლოს თქვენი კორესპოდენცია „ჩვენი სადილი" გადაეგზავნება პირველ ლეგიონის უფროსს.

ამხ. მატიანეს. „მსოფლიო ომის ათი წლის თავზე" დაგვიანებულია და ამას გარდა ასეთი თქვენი ლეგიონიდან უკვე იყო ჩვენს გაზეთში.

განცხადება

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხედრო ცოდნათა კლუბთან არსებულ

სამხატვრო ინსტიტუტში

მიღება გრძელდება. ინსტიტუტში არსებობს სხვა და სხვა განყოფილებები: **მოზაიკის, გრაფიკის, ხატვის, ქანდაკების და კომპოზიციის.** წითელ არმიელები და პროფკავშირთა წევრები მივლინებით სწავლის ფულს არ იხდიან.

თხოვნები მიიღება ინსტიტუტში საღამოს 6—9-დე.

პლეხანოვის ქუჩა, № 143.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3 პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.